თვითმმართველი ქალაქი
თელავის მუნიციპალიტეტი

ქ.თელავში გვირაბის მსგავსი ნაშთის გაწმენდითი-არქეოლოგიური მომსახურების შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

71351914-არქეოლოგიური მომსახურებები

დაფინანსების წყარო - 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

2016 წელი
ქ. თელავი

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია……3

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი……....5

3. დანართი N1- რეკვიზიტები……9

4. დანართი N2 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ……10

5. დანართი N3 - ფასების ცხრილი 11

6. დანართი N 4 -**ინფორმაცია პერსონალის შესახებ.....12**

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, ხოლო ასლების წარმოდგენა კი ხდება სისტემის გამოყენების საშუალებით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.
1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

არ მოეთხოვება;

1.2 ტექნიკური დოკუმენტაცია

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1.2.1 ფასების ცხრილი **დანართი N1**-ის შესაბამისად.

1.2.2 რეკვიზიტები **დანართი N2**-ის შესაბამისად.

1.3 პრეტენდენტი ვალდებულია მის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია დედნის სახით წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მისი მოთხოვნის შემთხვევაში.

1.4 პრეტენდენტის მიერ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.5 **ანგარიშსწორების პირობები**

1.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით გარდა დღგ-ს. დღგ დაემატება მიმწოდებელს თუ წარმოადგენს ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობას, რომ იგი რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად.

1.5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

1.5.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში.

1.5.4 საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის დადებითი დასკვნის შემდგომ.

1.5.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.6 **შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება**

1.6.1 ქ.თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილი გვირაბის ნაშთების კვლევითი-საძიებო სამუშაოების შესყიდვა.

1.6.2 გვირაბის გავრცელების მიმართულების პოტენციალის დადგენა:

- აეროფოტოები და დაზვერვები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით.

- ტერიტორიის დაზვერვები თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდებით:
- გამოვლენილი გალავნისა და გვირაბის წინა ფართობის გათხრა და გაწმენდა;
- გვირაბის შესასვლელის გათხრა მის იატაკამდე;
- გვირაბის მიმართულებების დადგენა სკანერით, ან გეო-რადარის მეშვეობით;
- ვიზუალური და არქეოლოგიური დაზვერვები მაწანწარის ხევის მიმართულებით;
- შესწავლილი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ_ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევა, ზეპირი ინფორმაციის მოგროვება, მსგავსი ძეგლების მოძიება შესაბამისი წყაროების მითითებით
- ობიექტის ფოტო-ფიქსაცია და გრაფიკული ნახაზების გაკეთება;
- კვლევის შედეგების წარმოდგენა ანგარიშის სახით

1.6.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს დანართი N1-ით განსაზღვრული სამუშაოების და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

ტენდერში გამარჯვებული პირი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, არქეოლოგიური მომსახურების დაწყებამდე გადაიხადოს სანებართვო მოსაკრებელი არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგინოს არქეოლოგიური სამუშაოების პროექტთან ერთად, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მუხლი 50-ს შესაბამისად

ტენდერში გამარჯვებულ პირს სამუშაოს დაწყება შეეძლება ნებართვის აღებიდან მაქსიმუმ 7 დღეში.

1.7 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი და ვადები:

1.7.1 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. თელავი. ჩოლოყაშვილის ქუჩა.

1.7.2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2016 წლის 20 დეკემბრამდე.

1.8 სხვა პირობები

1.8.1 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და/ან ბეჭედ დასმული.

1.8.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.

1.8.3 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენებს ქვეკონტრაქტორს, ასევე უნდა წარმოადგინოს მასთან დადებული ხელშეკრულება.

1.8.4 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება.

1.8 ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით კლების შემთხვევაში პრეტენდენტს არ მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დაასაბუთება, რადგან აღნიშნული მომსახურება ძირითადად მოიცავს ინტელექტუალურ შრომას, რის გამოც პრეტენდენტი უფლებამოსილია ტენდერში დაფიქსირებული საბოლოო ფასი განსაზღვროს გაწეული ინტელექტუალური შრომის შესაბამისად, ინდივიდუალურად.

1.10 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის გამოყენების საშუალებით წერილობითი მომართვის საფუძველზე. აპარატის წევრები: დოდო რობაქიძე, მაია კაკაურიძე: საკონტაქტო ტელ: 0(350)272413.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N

ქ. თელავი ---------- 2016 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი მერის მოადგილის ---------- სახით და მეორეს მხრივ ----------, დირექტორის ---------- სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ხარისხიანად შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საინჟინრო მომსახურება.
2.2 SPA N
2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: ---------- მომსახურება.
2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.
2.5 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ----------

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი

ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

ბ) მიმართოს წერილობითი შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

ბ) არ მიიღოს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი კორექტირება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი (ინსპექტირების ჯგუფი, ან მოწვეული ექსპერტი).

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) განახორციელებს გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან და მოქმედი სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობას. მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.2. გაწეული მომსახურების გადახდა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს არქეოლოგიური სექციის დადებითი დასკვნის შემდგომ.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის

შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ან შემსყიდველის გადაწყვეტილებით.

14 ხელშეკრულების ვადები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ტექნიკური დოკუმენტაციით.

15 ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

დანართი **N1**

3. რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ბეჭედი ---------- თარიღი ----------

დანართი N2

4. ინფორმაცია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესრულების შესახებ

N	მომსახურების დასახელება (კონკრეტულად)	დამკვეთი	ხელშეკრულების ღირებულება	SPA ნომერი
1	2	3	4	5
1				
2				
3				
და ა. შ.				

შენიშვნა:

1. (პრეტენდენტს განხორციელებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური არქეოლოგიური მომსახურება), წარმოდგენილი უნდა იქნას შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ტენდერის შემთხვევაში დანართში მიეთითება SPA.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

თარიღი ----------

დაბრუნება პირველ გვერდზე

ფასებში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სახის გადასახადი გარდა დღგ-სი

_____ _____

(ხელმოწერა, ბეჭედი) (თარიღი)

დანართი 4

ინფორმაცია პერსონალის შესახებ

N	გვარი, სახელი	თანამდებობა, სპეციალობა	მუშაობის საერთო გამოცდილება	მოკლე რეზიუმე
1				
2				
3				
4				
5				

1. **შენიშვნა:** სამუშაოები უნდა შეასრულოს არანაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე არქეოლოგმა. ინფორმაცია სამუშაოებში მონაწილე ყველა არქეოლოგის კვალიფიკაციის შესახებ, მონაწილეს(ებს) უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება (CV-ს სახით).